



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

19 აპრილი 2024



N 21/4016

შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდს“
ელ. ფოსტა: gochakamkia@gmail.com

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სააგენტომ განიხილა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოდგენილი N11427 განცხადება, რომელიც ეხება ქ. ბათუმში, შავი ზღვის აკვატორიაში ხელოვნური კუნძულის მოწყობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გაცნობებთ შემდეგს:

1. გზმ-ის ანგარიშში ალტერნატივები საჭიროებს დასაბუთებას, ვინაიდან მაგ: ალტერნატივების შერჩევას (გვ. 20) აღნიშნულია, რომ „რაც შეეხება მე-2 და მე-3 ალტერნატიულ ტერიტორიებს, საფონდო მასალების მიხედვით, საპროექტო აკვატორია შედარებით ღრმა წყლიანია და შესაბამისად წყალქვეშა ფერდიც მაღალი დახრილობით გამოირჩევა“. საჭიროა კონკრეტული მონაცემების, შეფასების წარმოდგენა, შესაბამის კვლევებზე დაყრდნობით;
2. დოკუმენტაციაში მოცემულია შემომზღუდავი ნაგებობის თხემის განსაზღვრის ორი ერთმანეთისგან განსხვავებული პარამეტრი (+7,6 მ და +6,6 მ.). საჭიროა შემომზღუდავი ნაგებობის კონსტრუქციის ნახაზები შესაბამისობაში იყოს გათვლებთან, სადაც ნაგებობის პარამეტრის მაქსიმალური ნიშნული შეადგენდა +7.6 მ, ასევე დასაბუთებას საჭიროებს შემომზღუდავი ნაგებობის მე-6 სექციაში მოცემული დამცავი ბლოკის წონის შესახებ ინფორმაცია, ვინაიდან ანალოგიური ტალღური რეჟიმის მქონე სხვა სექციების დამცავი ბლოკის წონა აღემატება მე-6 სექციის წონას.
3. განმარტებას საჭიროებს შემომზღუდავი ნაგებობის თხემზე ტალღის გადმოდინების დასაშვები სიდიდე, რომელიც ეხება ნაგებობის გასწვრივ ფეხით მოსიარულეებს (CIRIA C683, თავი 5, ცხრილი 5.4 , გვ. 501). როგორც ცნობილია, შტორმის დროს მნიშვნელოვან დეფორმაციას განიცდის წყალქვეშა ფერდობის მოხაზულობა. ასევე დასაბუთებას საჭიროებს შემომზღუდავი ნაგებობის ქვეშაგები შრის სიგანე (2 მ). საჭიროა პერიოდული მონიტორინგის შედეგად, ასევე ყოველი ძლიერი შტორმის შემდეგ დაზუსტდეს აღნიშნული სიდიდე და მიეთითოს შესაბამის დოკუმენტაციაში;
4. დაზუსტებას საჭიროებს მოხდება თუ არა პლაჟწარმომქმნელი პროცესების დარღვევა კუნძულის მშენებლობის შემდგომ, შეიცვლება თუ არა სანაპირო ზოლის მორფოდინამიკა - რომელიც ზეგავლენას იქონიებს სხვა ტერიტორიების პლაჟების წარცხვარებაზე. (გვ. 202. ქვეთავი 5.1.3.8) - ხელოვნური კუნძულის სამშენებლო ტერიტორიის მორფოდინამიკაზე დასკვნა ზოგადი სახისაა. ანგარიშში გამოყენებულია სამეცნიერო-საწარმოო ორგანიზაციის „საქნაპირდაცვის“ სამეცნიერო მასალები, რომლებშიც აღწერილია საქართველოს სანაპირო ზონის მორფოდინამიკური პროცესები. წარმოდგენილ უნდა იქნეს სამშენებლო არეალის, სანაპირო ზოლისა და წყალქვეშა რელიეფის ცვალებადობის დინამიკის შესახებ განახლებული ინფორმაცია, ასევე განხილული უნდა იყოს მშენებლობის პერიოდში მორფოდინამიკური პირობების მდგრადობის მიზნით წყალქვეშა ფერდზე და სახმელეთო ნაწილში ჩასატარებელი კვლევები. იმის გათვალისწინებით, რომ სანაპიროს აღნიშნული არეალი გამოირჩევა საკმაოდ დინამიკურობით, რეკომენდებულია ფსკერული ნალექების მონიტორინგი განხორციელდეს არა მარტო პირველი ხუთი წლის განმავლობაში, როგორც აღნიშნულია გზმ-ის ანგარიშში (გვ. 464), არამედ

5 წლიანი ვადის გასვლის შემდეგ, მუდმივად, გარკვეული პერიოდულობით, მაგ: ყოველ 2-3 წელიწადში ერთხელ. ანგარიშში წყალქვეშა ფერდის მონიტორინგის განხორციელება გათვალისწინებულია მხოლოდ სამშენებლო ფაზაზე, რომელიც აუცილებელია ექსპლუატაციის პერიოდშიც.

5. როგორც გზშ-ის ანგარიშიდან ირკვევა, საპროექტო აკვატორიის ფარგლებში (საპროექტო ტერიტორიაზე) ზღვას სამი მდინარე: მდ. ბარცხანა, მდ. კუბასწყალი და უსახელო ხევი უერთდება. საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს ჩადინება მდ. ყოროლისწყალიც. აღნიშნული მდინარეების ჰიდროლოგიურ ნაწილში განხილულია მხოლოდ მდინარის მაქსიმალური ხარჯები (მაქსიმალური საანგარიშო წყლის სიდიდეების განსაზღვრა მხოლოდ ერთი, 1%-იანი უზრუნველყოფის წლისათვის). ანგარიშს უნდა ახლდეს ყველა ჰიდროლოგიური პარამეტრი - მდინარეების მინიმალური ხარჯები, საშუალოწლიური ხარჯები სხვადასხვა უზრუნველყოფის წლებისთვის, შიდაწლიური გაანგარიშება, სხვა უზრუნველყოფის მაქსიმალური ხარჯების სიდიდეები, მდინარისა და ხევეების მყარი ნატანის შესახებ ინფორმაცია (წარმოდგენილი ხევეების ნატანის გაანგარიშების პარამეტრების მონაცემები და გამოყენებული მეთოდოლოგია, ნატანის ამოღების და კალაპოტის გაწმენდის მახასიათებლები, ასევე ხევეების შესართავთან პერიოდული მონიტორინგის გეგმა). მონიტორინგის შედეგად თუ დაფიქსირდა ჭარბი ინერტული მასალა, უნდა მოხდეს მისი ამოღება დეტალური საინჟინრო-ჰიდროლოგიური მახასიათებლების საფუძველზე. ასევე, სათანადო დასაბუთებას საჭიროებს უსახელო ხევის მდ. ბარცხანაში გადაგდების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების კაპიტალობის კლასის და წყლის საანგარიშო ხარჯის სიდიდე. დოკუმენტში მოცემული 1%-იანი უზრუნველყოფის საანგარიშო ხარჯი შეესაბამება ნაგებობების კაპიტალობის II კლასს (სნ 2.06.01-97, გვ. 11, ცხრ. 1). აღნიშნულ შემთხვევაში ნაგებობები გადაანგარიშებული უნდა იყოს ასევე 0.1% უზრუნველყოფის სამოწმებელ ხარჯზე ან/და შესაბამისი დასაბუთება. დასაბუთებას საჭიროებს ასევე, უსახელო ხევის გადაგდებით მდ. ბარცხანას კალაპოტში მიიღებს თუ არა აღნიშნული ხევის წყლის მაქსიმალურ ხარჯებს მდ. ბარცხანა. საჭიროა კუნძულთან მიმართებაში წყალდიდობისა და წყალმოვარდნების რისკების მართვის ანგარიშების დამუშავება - შესაძლო რისკების გაანალიზება და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ღონისძიებების გატარება და აღნიშნული ანგარიშის წარმოდგენა. ამასთან, დეტალურად უნდა იყოს წარმოდგენილი, როგორ მოხდება მდინარის ჩამონადენის განტვირთვა კუნძულის აშენების შემთხვევაში, დოკუმენტაციაში მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ უსახელო ხევის ხარჯი დაემატება მდ. ბარცხანას, ხოლო კუბისწყალი გაივლის კუნძულის აკვატორიაში არასაკმარისია შესაბამისი დასკვნების გასაკეთებლად. დანართი 14-ში მოცემულია კუნძულის შიდა აკვატორიაში შიდა წყლის ცვლის ანალიზი, რომელიც ეხება წყლის ხარისხს და რომლის უზრუნველყოფა წყლის გადატუმბვით ხორციელდება. დოკუმენტში არ არის განხილული კუნძულის აკვატორიაში მდ. კუბასწყლის შემონადენის ზღვაში ტრანსპორტირების შესაძლებლობა. დასავლეთის, აღმოსავლეთისა და სანაპირო (ოფშორული) მოლებს მშენებლობის შემდეგ შეიცვლება მდ. კუბასწყლის შესართავის ჰიდრაულიკური რეჟიმი - ზღვაში გასასვლელი ფართობი მკვეთრად შემცირდება და შეიზღუდება გამტარუნარიანობა. სათანადო ჰიდრაულიკური გაანგარიშებებით უნდა დადგინდეს მდ. კუბასწყლის სხვადასხვა ხარჯებისა და ზღვაზე ტალღების სხვადასხვა სიმაღლეების პირობებში მოლებს შორის არსებული გასასვლელის გამტარუნარიანობა და წყლის დონეები კუნძულის შიდა აკვატორიაში;
6. ამასთან, დაზუსტებას საჭიროებს სხვადასხვა უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯები (1000 წ, 100 წ, 50 წ, 20 წ და 10 წ) და ხარჯების შესაბამისი დონეები; ანგარიშში (გვ. 389 და გვ. 390) აღნიშნულია, რომ უსახელო ხევის მდ. ბარცხანაში გადაგდების მიზნით მოეწყობა გამყვანი კოლექტორი, თუმცა 391-ე გვ-ზე ჩამატებულია ფრაზა „საჭიროების შემთხვევაში“. დასაზუსტებელია გამყვანი კოლექტორის საჭიროების საკითხი.
7. ტალღების გაანგარიშებასთან მიმართებაში მოცემულია ვრცელი მასალა, რომელიც ცალკეულ დანართებშია გაბნეული, რის გამოც რთულია მისი ანალიზი. ამასთან, წარმოდგენილ ცხრილში (სავარაუდოდ შემაჯამებელი ცხრილი 4.1.1.1.), აღნიშნულია მხოლოდ ტალღის სიმაღლეები, მაგრამ არ არის მოცემული სხვა პარამეტრები. საჭიროა წარმოდგენილ იქნეს ახალი საბოლოო შემაჯამებელი/საანგარიშო ცხრილი, სადაც კონკრეტულად იქნება აღნიშნული სხვადასხვა უზრუნველყოფის ტალღის სიმაღლესთან ერთად, სიგრძე და განმეორებადობა, ასევე სხვადასხვა ბალიანი შტორმების დროს წარმოშობილი ტალღის პარამეტრები;
8. ზღვის დონის ცვალებადობასთან მიმართებით (დანართი 2, ანგარიში 3) აღნიშნულია, რომ „პროექტის მოცემულ ეტაპზე, კონკრეტული ინფორმაციის არარსებობის პირობებში ზღვის ამჟამინდელი

სავარაუდო საშუალო დონე არის + 0.6 მ (დასადასტურებელია)“ - დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული სიდიდე. ამავე გვერდზე, მითითებულია, რომ „აღნიშნული პროგნოზების გათვალისწინებით, მოცემული კვლევისთვის კლიმატის ცვლილება აღირიცხება გრძელვადიანი კომპონენტის დამატებით - + 0.5 მ,“ შესაბამისად წარმოსადგენია ზღვის დონეების ცვალებადობის რა დიაპაზონზეა საუბარი. ასევე, დაზუსტებას საჭიროებს როგორია ტალღური მოდენის დიაპაზონი და წყლის მიმოცვლის საკითხი კუნძულის შიგნით და რამდენად იქნება დაცული/შენარჩუნებული ზღვის წყლის რეკრეაციული ნორმები;

9. პროექტი ითვალისწინებს კუნძულის მშენებლობის პროცესში მის ფორმირებას, როგორც ქვიშა-ხრემოვანი მასალით, ასევე კლდოვანი მასით, რომლის შემოტანაც მოხდება ადგილობრივი კარიერებიდან და თურქეთიდან. დაზუსტებას საჭიროებს კუნძულის ფორმირებისთვის საჭირო კლდოვანი მასალის მოცულობები და მისი ტრანსპორტირების, ასევე ლიცენზირებული კარიერებიდან ქვიშა-ხრემის ტრანსპორტირებისა და ზემოქმედების საკითხები.
10. ანგარიშის თანახმად (გვ. 15), „დაცული ნავმისადგომის აშენების შემდეგ, ეს მონაკვეთი სრულიად დამოუკიდებელ უბნად გადაიქცა, სადაც ნაპირგასწვრივი გადაადგილებით ტალღებს მასალა ვეღარ შეაქვს და გამოაქვს. ადგილობრივი ნაპირების დინამიკა გამოხატულია ჩაკეტილ, იზოლირებულ საკვლევ უბანზე, ტალღებით მასალის ორმხრივი მიგრაციით და მისი ცვეთით“. ეს ნიშნავს, რომ დროთა განმავლობაში შეიცვლება ადგილის აკვატორიის ფსკერული და სანაპირო ზოლის მასალის გრანულომეტრია და მოხდება მისი დაწვრილება. აღნიშნულმა გარემომებამ შესაძლებელია გამოიწვიოს მასების გატანა და დაღრმავება, რაც გათვალისწინებას და დასაბუთებას საჭიროებს;
11. ვინაიდან, ხელოვნური ნახევარკუნძულის და კუნძულის საძირკველი შესწავლილია მხოლოდ 35 მ სიღრმემდე, მიზანშეწონილია სულ მცირე, ფონდური (მაგ. სხვა, მათ შორის შესაძლებელია ნავთობის ძიების და/ან გეოფიზიკური) მასალის გამოყენებით დადგინდეს უფრო ღრმად განლაგებული გრუნტების შესახებ ინფორმაცია;
12. გზშ-ის ანგარიშში (გვ. 386) აღნიშნულია, რომ „მოლოების განთავსების ზოგიერთ უბანზე დაგეგმილია ფსკერდაღმავების სამუშაოების შესრულება. ამოღებული ფსკერული ნალექების გამოყენება დაგეგმილია ნახევარკუნძულების და კუნძულის ტერიტორიების შესავსებად. ფსკერდაღმავების სამუშაოების დაწყებამდე საპროექტო უბნებზე ჩატარდება ფსკერული ნალექების ლაბორატორიული კვლევა და დაბინძურების დაფიქსირების შემთხვევაში ამოღებული გრუნტი შემდგომი მართვისათვის გადაეცემა შესაბამის კონტრაქტორ კომპანიას“. ამასთან, ანგარიშის მიხედვით, ამოღებული გრუნტის რაოდენობა დაახლოებით 139.126.2 მ³ იქნება. პროექტის მნიშვნელობიდან და მასშტაბურობიდან გამომდინარე, დასაზუსტებელია მართვაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციის და შესაბამისი ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების საკითხი, ასევე განთავსების ტერიტორია და პირობები, გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს კონკრეტული გეგმა დაბინძურებული/დაუბინძურებელი ფსკერული ნალექების მართვასთან დაკავშირებით, წარმოდგენილ გეგმაში ასევე უნდა აისახოს ინფორმაცია, თუ როგორ მოხდება დაბინძურებული ფსკერული მასალის ამოღება წყლიდან, ისე რომ არ მოხდეს სანაპირო ზონის ზღვის წყლის დაბინძურება. ასევე, ამოსაღები მასალის ოდენობა, გავრცელების მასშტაბი, ქიმიური შემადგენლობა/ფიზიკური თვისებები. ასევე ამოღებული მასალის დროებით განთავსების ადგილი და პირობები კონტრაქტორ კომპანიისთვის მის გადაცემამდე; ფსკერდაღმავებით სამუშაოების შედეგად ამოღებული მასის გამოყენების შესახებ, საჭიროა სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს პოზიცია;
13. გზშ-ის ანგარიშის თანახმად „ხელოვნური კუნძულის შიდა აკვატორიის წყლის ხარისხის შენარჩუნების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში (მონიტორინგის შედეგების მიხედვით) მოხდება წყლის ცირკულაციის ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა. ამისათვის გამოყენებული იქნება ტუმბო დანადგარები, რომლებიც განთავსდება კუნძულის შიდა აკვატორიის აღმოსავლეთ ნაწილში და წყლის გადატუმბვა მოხდება ღია ზღვაში. ტუმბო დანადგარების წარმადობა და დეტალური პარამეტრები განისაზღვრება მონიტორინგის შედეგების მიხედვით“. წარმოდგენილი უნდა იყოს პროცესის დეტალურად აღწერა (რომელი ქიმიური და ბიოლოგიური პარამეტრების მონიტორინგი განხორციელდება, რა სიხშირით და წინასწარი გათვლები დადგენილ ნორმატივებთან მიმართებაში), რათა პროცესმა არ გამოიწვიოს შავი ზღვის წყლის ხარისხის გაუარესება და არ შექმნას ეუთროფიკაციის წინაპირობა. ამ ინფორმაციის საფუძველზე, წარმოდგენილი უნდა იქნას ტუმბო დანადგარების შესახებ დეტალური ინფორმაცია (ეფექტურობა, ტექნიკური მახასიათებლები, წარმადობა, საკონტროლო

ბიოლოგიური და ქიმიური პარამეტრების ჩამონათვალი წყლის გადატუმბვით გამოწვეული ზემოქმედება აკვატორიაზე და ა.შ). ამასთან, ნავთობისა და საწვავის დაღვრის პრევენციის მიზნით, უნდა არსებობდეს ნავთობის სათანადო შენახვისა და დამუშავების პროტოკოლები, საწვავის და სხვა საშიში ნივთიერებების შემთხვევითი დაღვრის და სანაპირო წყლების დაზინძურების რისკის შესამცირებლად. აღნიშნული უნდა აისახოს შესაბამის დოკუმენტაციაში;

14. გზმ-ის ანგარიშში (გვ. 387 და 388) აღნიშნულია, რომ „ხელოვნური კუნძულის და აკვატორიის წყლის ხარისხზე ნეგატიური ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს მდ. კუბასწყლის წყლის ხარისხმა, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება და სისტემატური მონიტორინგი“. დაზუსტებას საჭიროებს, რა იგულისხმება სისტემატურ მონიტორინგში (მეთოდოლოგია, სიხშირე და ა.შ); ასევე გზმ-ის ანგარიშის (გვ. 388) თანახმად, „ხელოვნური კუნძულის შიდა აკვატორიის წყლის ხარისხის გაუარესების მაღალი რისკი არსებობს მდ. კუბასწყლის არასტაბილურ ხარისხთან დაკავშირებით. მდინარის წყალშემკრებ აუზში არსებული სამრეწველო საწარმოების საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მაღალია ნავთობის ნახშირწყალბადებით წყლის დაზინძურების რისკები. გარდა ამისა, მდ. კუბასწყალში ადგილი აქვს ურბანული ჩამდინარე წყლების ჩაშვების ფაქტებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ხელოვნური კუნძულის ექსპლუატაციაში გაშვებამდე, აუცილებლობას წარმოადგენს მდინარის წყლის დაზინძურების წყაროების ლიკვიდაციის სამუშაოების შესრულება, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის და მდ. კუბასწყლის ხეობაში არსებული საწარმოო ობიექტების მფლობელი კომპანიების უშუალო ჩართულობით.“ დაზუსტებას და დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენას საჭიროებს სალიკვიდაციო სამუშაოების ღონისძიების, ასევე სავარაუდო დამაზინძურებელი კომპანიებთან დაკავშირებით მათი ჩართულობის და პრობლემის გადაჭრის გზების შესახებ ინფორმაცია;
15. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილ კვლევებში არ არის დადასტურებული წითელ ნუსხაში შეტანილი მექვიშია ლორჯოს (*Neogobius fluviatilis* Pallas, 1814, ბიოკონსერვაციული სტატუსით VU) არსებობა, თუმცა წარმოდგენილ სავარაუდო სახეობათა ჩამონათვალშია და ამასთან, მშენებლობის აკვატორია შეესაბამება მისი გავრცელების ჰიდროლოგიურ პირობებს, რაც ცხადია არ გამორიცხავს მის არარსებობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა ამ სახეობაზე დამატებითი კვლევების წარმოება და ინფორმაციის შეგროვება;
16. მშენებლობის აკვატორიაში წყალქვეშა გადაღებითი სამუშაოები მყვინთავების მეშვეობით წარმოებულია მხოლოდ პასიურ ვეგეტაციურ პერიოდში (ზამთარში). მიზანშეწონილია, გადაღებები წარმოებულ იქნას ყველა სეზონზე და წარმოდგენილი იქნას შესაბამისი მასალები დამატებით;
17. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული აკვატორია არ გამოირჩევა თევზების საჭვირითე ადგილმდებარეობის განსაკუთრებულობით და ამასთან მშენებლობას წყალში შეტივანარებულ იქთიოპლანქტონზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა არ ექნება, მიზანშეწონილია აქტიურ ვეგეტაციურ პერიოდში წარმოებული იქნას იქთიოპლანქტონის ფონური მდგომარეობის შეფასება.
18. მიუხედავად იმისა რომ აღნიშნულ ლოკალიტეტში ქვაკლდოვანი ჰაბიტატების არარსებობის პირობებში ისტორიულად მაკროფიტები არ ფიქსირდებოდა, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას და შესაბამისი სპეციალისტის დასკვნას. მნიშვნელოვანია, როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე მუდმივ რეჟიმში წარმოებულ იქნას სამეცნიერო-კვლევითი მონიტორინგის სამუშაოები მინიმუმ პირველი 10 წლის განმავლობაში, რათა მოხდეს გარემოს ხარისხობრივი ცვლილებების დინამიკის შეფასება და შესაბამისი გარემოსდაცვითი ღონისძიებების წარმართვა;
19. გზმ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „საპროექტო აკვატორიის სანაპირო ზოლის მიმდებარე ტერიტორიებზე ჩატარებული სავალე კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოს წითელ ნუსხაში ან საერთაშორისო შეთანხმებით დაცული სახეობების საბინადრო ადგილები იდენტიფიცირებული არ ყოფილა, რაც გამოწვეულია აღნიშნული ტერიტორიების ანთროპოგენური დატვირთვით“. საჭიროა დაზუსტდეს, რა სახეობების იდენტიფიცირება მოხდა კვლევის დროს, ვინ ჩაატარა აღნიშნული კვლევა და ასევე, თუ ამ ტერიტორიაზე თევზების მნიშვნელოვანი სახეობები არ გვხვდება, საჭიროა შეფასდეს ტერიტორიის მნიშვნელობა ზღვის ძუძუმწოვრებისთვის. ამასთან გზმ-ის ანგარიშის 4.2.1.3. ქვეთავში „ხმაურის ზემოქმედება იქთიოფაუნაზე და ზღვის ძუძუმწოვრებზე“ (გვ. 53). აღნიშნულია, რომ „ზღვის ძუძუმწოვრები გადაადგილებას არ არიან შეზღუდულნი, შესაბამისად, მათ შეეძლება მოსცილდნენ საპროექტო არეალს“. იმის დასტურად, რომ ზღვის მსხვილი ძუძუმწოვრები აღნიშნულ ტერიტორიას არ იყენებენ საარსებოდ, ან სხვა მიზნით, წარმოდგენილი უნდა იქნეს დამადასტურებელი სამეცნიერო

კვლევები, „ზღვის ძუძუმწოვრების ან იქთიოფაუნის კვლევები“, ან შესაბამისი ლიტერატურა. ხოლო იმ შემთხვევაში თუ დადასტურდება მათი არსებობა საპროექტო ტერიტორიაზე, გათვალისწინებული უნდა იქნას ზიანის შემარბილებელი შესაბამისი ღონისძიებები ან საკომპენსაციო მექანიზმები. ამასთან დაგეგმილი წინასამშენებლო კვლევის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს „მავი ზღვის, ხმელთაშუა ზღვისა და მიმდებარე ატლანტის ოკეანის მცირე ვეშაპისებრთა დაცვის შესახებ (ACCOBAMS)“ საერთაშორისო შეთანხმებით დაცულ სახეობებზე მოსალოდნელ ზემოქმედებაზე და ამ ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით დაგეგმილ შემარბილებელ ღონისძიებებზე. ასევე საჭიროა წინასამშენებლო კვლევებმა, მოიცვას პროექტის გავლენის ზონაში არსებული წყლის ბიომრავალფეროვნების, მათ შორის ჰაბიტატების შეფასებისა და მასზე მოსალოდნელი ზემოქმედებით შესაძლო ზიანის აღწერა და ამ ზიანის ხარისხი. შემოთავაზებულ იქნას მისი აღმოფხვრის (თავიდან აცილება, შერბილება, საჭიროების შემთხვევაში კომპენსირება) დასაბუთებული ღონისძიებები, განხორციელების კონკრეტული ქმედებების ამსახველი გეგმა-გრაფიკით. აღნიშნული საკითხების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია მითითებული უნდა იქნეს დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში;

20. გზშ-ის ანგარიშის (ქვეთავი 4.6.1.2.1) თანახმად „მცირე ხარისხის ზემოქმედებას შეიძლება ჰქონდეს ადგილი ოდისეი დიმიტრიადის ქუჩის მიმდებარე 1.5 კმ სიგრძის ვიწრო (10-15 მ სიგანის) სანაპირო ზოლში მოზინადრე სახეობებზე (წვრილი ძუძუმწოვრები, ამფიბიები, ქვეწარმავლები)“. არ არის მითითებული კონკრეტულად რა სახეობებია, რა გავლენაა მოსალოდნელი, ან რა სახის შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განხორციელდეს, რაც საჭიროებს დაზუსტებას. ლიტერატურულ წყაროდ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ტომეული „აჭარის ფაუნა“.
21. იმ შემთხვევაში, თუ საკვლევ ტერიტორიაზე არ ბინადრობს იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი ზურმუხტის სახეობები, აღნიშნული მიეთითოს და დადასტურდეს სათანადო სპეციალისტების მიერ. ასევე, თუ საკვლევ ტერიტორია ფრინველების მიერ სამიგრაციო პერიოდში გამოიყენება, ჩამოთვლილი უნდა იქნეს ფრინველთა სახეობები. გასათვალისწინებელია, მრავალი სახეობის დაცვის საერთაშორისო ვალდებულება, რომელიც ქვეყანას გააჩნია საერთაშორისო შეთანხმებებით. ამასთან დოკუმენტში მითითებულია, რომ „აღსანიშნავია, რომ საპროექტო აკვატორიის მიმდებარედ წარმოდგენილი ტერიტორიის რელიეფი დაახლოებით 1,2 კმ-დან თანდათან იწყებს ამალებას, ჰარბტენიანი ტერიტორიები წარმოდგენილი არ არის (ასეთი ტერიტორიები დამახასიათებელია ჭოროხის დელტისათვის, რომელიც დაახლოებით 8 კმ-ითაა დაცილებული საპროექტო აკვატორიიდან) და შესაბამისად საპროექტო მონაკვეთზე წყლის მოყვარული ფრინველების საკვების მოპოვების მიზნით ყოველდღიური მიგრაცია ზღვის მიმართულებით და პირიქით მინიმალურია. აღნიშნულის გათვალისწინებით ფრინველებზე ზემოქმედების რისკი არ იქნება მაღალი. ამ მხრივ აღსანიშნავია ღამის განათების სისტემებით გამოწვეული ზემოქმედება, რომლის შემცირება შესაძლებელი იქნება ოპტიმიზებული განათების სისტემის გამოყენებით.“ არგუმენტის გასამყარებლად მიზანშეწონილია ტექსტში აღინიშნოს ან წარმოდგენილ იქნას კვლევის შედეგები. გვ. 68-70 მითითებულია, რომ „აღდგება ჰაბიტატები ბენტოსური თუ სხვა სახეობებისთვის“, თუმცა მოცემული უნდა იყოს, თუ რა მეთოდებით აღდგება და რა იგეგმება.
22. შესაბამისი ქმედებების განხორციელებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს საქმიანობის შედეგად ზღვის ბიოლოგიურ გარემოს ცვლილებებსა და პრევენციულ ღონისძიებებზე, მაგალითად: გზშ-ს ანგარიშის მიხედვით: „მშენებლობის ფაზაზე გავლენის ზონაში მოექცევა ზღვის ბიოლოგიური გარემოს 144,3223 ჰა ფართობის ჰაბიტატი, ხოლო სამუშაოების დამთავრების შემდეგ ბიოლოგიური გარემოსათვის სამუდამოდ დაიკარგება 108,5032 ჰა ფართობის ჰაბიტატი, რაც მაღალ ზემოქმედებად უნდა ჩაითვალოს“. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტში წარმოდგენილია შემარბილებელი ღონისძიებები, როგორცაა შიდა აკვატორიაში შედარებით მცირე, მაგრამ არსებული ჰაბიტატის მსგავსი ჰაბიტატის შექმნა, ასევე გამოთქმულია მოსაზრება, რომ „დაახლოებით 3.8 კმ სიგრძის დამცავი მოლების ქვანაყარ კედლებზე ადგილი ექნება მოლუსკების გამრავლებას, რაც საუკეთესო საკვებ ბაზას შექმნის თევზის სახეობებისათვის“, საჭიროა აისახოს დასაბუთებული ინფორმაცია დაგეგმილი პრევენციული ქმედებების საკმარისობისა და შედეგიანობის შესახებ (მაგ: რამდენად საკმარისი და ეფექტიანი იქნება მუდმივად დაკარგული ჰაბიტატის ფუნქციის საკომპენსაციოდ აღნიშნული შემარბილებელი ღონისძიების გატარება. შეძლებენ, თუ ვერა ჰიდრობიონტები ახალ საბინადრო გარემოში გადანაცვლებას და დამკვიდრებას და ა.შ.). ჰაბიტატის აღდგენისათვის დაგეგმილ შემარბილებელი

ლონისძიების ეფექტიანობაზე დაკვირვების საკითხი საჭიროა აისახოს მონიტორინგის გეგმაში. განახლებულ ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმაში აისახოს ინფორმაცია წინასამშენებლო კვლევების, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შესაბამისი შემარბილებელი ან/და საკონკრეტული ღონისძიებების შესახებ.

23. სათანადოდ უნდა შეფასდეს ხელოვნური კუნძულის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის დროს წარმოქმნილი მყარი ნაწილაკების დიფუზიური გაფრქვევები. ხელოვნური კუნძულის შექმნის და ზოგადად სამშენებლო სამუშაოების პროცესში მყარი ნაწილაკებით დაბინძურების უმთავრესი წყარო იქნება არა ბეტონის კვანძი, არამედ ამტვერებადი მასალების (მათ შორის ინერტული) დაყრა და შენახვა. სათანადოდ შეფასების შემდგომ უნდა გაიწეროს შერბილების შესაბამისი ღონისძიებები (მაგ. წყლის ხელოვნური ნისლის გამოყენება, ტერიტორიის რეგულარული რწყვა და ა.შ.);
24. დოკუმენტის მიხედვით, დამცავი მოლოს კონკრეტული უბნის დაწყებამდე მოხდება განთავსების დერეფნის ფსკერდაღრმავების სამუშაოების შესრულება. როგორც 4.6. პარაგრაფშია მოცემული ამოღებული გრუნტი გამოყენებული იქნება ხელოვნური კუნძულის ტერიტორიის ფორმირებისათვის. დეტალურად უნდა იქნეს წარმოდგენილი ინფორმაცია ფსკერდაღრმავებითი სამუშაოების შედეგად ამოღებული მასის კუნძულების/ნახევარკუნძულების ფორმირებისთვის დაუყოვნებლივ გამოყენების ან/და დროებითი განთავსების საჭიროების შესახებ. ხოლო დროებით განთავსების შემთხვევაში, წარმოდგენილ უნდა იქნას დეტალური ინფორმაცია მისი გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესაბამისად მართვის შესახებ (მაგ. გადახურვა ტენტით ან/და მორწყვა რომ არ მოხდეს მტვრის გავრცელება, მიმდებარე ტერიტორიის დაბინძურების პრევენციის შესახებ და ა.შ.);
25. საპროექტო ტერიტორიიდან 500 მეტრიანი რადიუსის მანძილზე ფიქსირდება ისეთი ობიექტები როგორცაა, შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ ნავთობპროდუქტების საცავი, შპს „ბათუმი პეტროლიუმის“ ნავთობპროდუქტების საცავი, შპს „კარგო პარსელის“ წიაღისეული საწვავის, ნავთობპროდუქტის და ქიმიური პროდუქტების საცავი, ასევე შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის“ ავტოგასამართი სადგურები, შპს „ტერმინალ 1“-ის ნავთობპროდუქტების საცავი და სხვა. ასევე შპს „ტერმინალ 1“-ის მიერ (ს/კ 05.29.01.020; 05.29.01.021) დაგეგმილია ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება, რაც ითვალისწინებს წარმოების გაფართოებას (ახალი საცავების მშენებლობა და ტვირთბრუნვის ზრდა) და უნაპირო ნავმისადგომის მოწყობას, რასთან დაკავშირებითაც სააგენტოში მიმდინარეობდა ადმინისტრაციული წარმოება. შესაბამისად, შპს „ტერმინალ 1“-ისა და კუნძულის საპროექტო ტერიტორიებს შორის მანძილის (დაახლ. 120 მეტრი) გათვალისწინებით, საჭიროა სამუშაო პროცესების კოორდინაცია ტერმინალ 1 თან შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების შემცირების მიზნით. წარმოდგენილ უნდა იქნას ინფორმაცია შერჩეული ტერიტორიისთვის ატმოსფერულ ჰაერზე შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების რისკების შეფასების შესახებ, მიმდებარედ არსებული ობიექტების ერთობლივი ფუნქციონირების პროცესში; კუმულაციური ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს საწარმოების მაქსიმალური დატვირთვის პირობებში, მიმდებარედ არსებული საწარმოების 500 მ-ნი ნორმირებული ზონების გადაკვეთის შესაბამისად.
26. საჭიროა წარმოდგენილ იქნას პროექტის მშენებლობის დროებით ან ხანგრძლივი ვადით შეჩერების/შეწყვეტის შემთხვევაში განსახორციელებელი ღონისძიებების, მათ შორის ტერიტორიის სარემედიაციო ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია;
27. წარმოდგენილი უნდა იყოს მშენებლობის ეტაპისთვის გათვალისწინებული ტრანსპორტირების სქემისა და გეგმა-გრაფიკის მუნიციპალიტეტთან შეთანხმების ამსახველი დოკუმენტაცია;
28. სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ცნობით, გზშ-ის ანგარიშში განხილულია კუნძულის შემადგენელი მოლების ზემოქმედება ბათუმის საზღვაო ნავსადგურზე, თუმცა აღნიშნული ზემოქმედების დამადასტურებელი კვლევები, მათ შორის კომპეტენტური საზღვაო ინსტიტუტის (ლაბორატორიის) დასკვნა არ არის მითითებული. სააგენტოს ცნობით, იქვე განლაგებულ ბათუმის შიდა და გარე ნავსადგურის სანავსადგურე ობიექტებზე, საშტორმო ამინდის დროს ზღვის ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან მომავალი ტალღების ზემოქმედების განსაზღვრის მიზნით, არაერთხელ იქნა დაფიქსირებული პოზიცია აღნიშნული კუნძულისათვის საჭირო ტალღმჭრელების მოწყობასთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხები მათ შორის საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს წერილში მითითებული გარემოებების გათვალისწინების შესახებ წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ინფორმაცია.

ასევე გაცნობებთ, ტექნიკური ხასიათის შემდეგ შენიშვნებს:

29. გვ. 132. არსებული ფრაზა: „საველე კვლევების სახით შეიძლება ჩატარდეს 5 CPTu ცდები“ დაზუსტებას საჭიროებს.
30. გზმ-ის ანგარიშის ჰიდროლოგიურ ნაწილში მოცემული ცხრილების (5.1.7.1.1, 5.1.7.2.1, 5.1.7.3.1 და 5.1.7.4.1) მონაცემები განსხვავდება დანართ N2-ში 5.3 და 5.2 ცხრილების მონაცემებისგან;
31. გზმ-ის ანგარიშის გეოტექნიკური ნაწილის ქართული ვერსიის თარგმანი, ასევე **გეოტექნიკური კვლევის ფაქტობრივი ანგარიში** საჭიროებს კორექტირებას. არასწორი თარგმანის გამო გვხვდება ტერმინოლოგიური შეცდომები და გაუმართავი, ზოგჯერ გაუგებარი წინადადებები. მაგალითად: „პიემონტის მოძრავი ბორცვები“, „შლანგი“ (ალბათ დრეკადი მილი), „გრუნტის ამობურცვის ანალიზი“ (გრუნტის გაჯირჯვების ანალიზი), „გემის ჰიდრაულიკური სიმძლავრე“ (ჰიდრაულიკის სიმძლავრე) და სხვა.
32. **გეოტექნიკური კვლევის ფაქტობრივი ანგარიშის** მე-8 გვ-ზე არასწორია წინადადება „უძველესი, პრეკამბრიული და ქვედა-შუა პალეოზოური ქანები ვლინდება საქართველოს გეოლოგიის ყველა სტრუქტურულ ერთეულში“. აჭარა-თრიალეთის ნაოჭა-ბლოკურ სტრუქტურაში რომლის ფარგლებშიც არის განთავსებული საპროექტო არეალი, ასეთი ძველი ქანები არ არის წარმოდგენილი;
33. **გზმ-ის ანგარიშის დანართი 3 „გეოტექნიკური კვლევის ფაქტობრივი ანგარიში“** გვ. 3. კვლევების მიზნის აღწერისას წერია, რომ „სანაპირო ზოლის გეოტექნიკური კვლევის მიზანს წარმოადგენს საველე, ლაბორატორიული და კამერული კვლევების განხორციელება... რაც აუცილებელია ფოთის პორტის გაფართოების ახალი პროექტის ფარგლებში დაგეგმილი მოლოს, ნავმისადგომისა და სანაოსნო არხის პროექტირებისთვის“. ასევე, გვ. 55. კვლავ მითითებულია „ფოთში ნალექების საშუალო-წლიური რაოდენობა“. ასეთი მონაცემი არსებობს ბათუმისთვის, და ის უფრო დიდია. იმავე გვერდზე, ზღვისა და მიწისქვეშა წყლების ურთიერთქმედების ხასიათის გამოსავლენად ჩატარდა დაკვირვებები მდ. ენგურის დელტაში (ფიჩორა) და მდ. რიონის ჭაობიან დაბლობზე (გრიგოლეთი). მიწისქვეშა წყლები შესწავლილი იქნა ზღვიდან 50, 200, 550, 1000 და 1500 მ-ის მანძილზე. თითოეული საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში გაყვანილია 5, 10 და 20 მ სიღრმის 3 ჭაბურღილი. გვ. 95. დასკვნები და რეკომენდაციები, კვლავ ფიგურირებს „ფოთის პორტი“: „კვლევის მიზანს წარმოადგენს (...) რაც აუცილებელია ფოთის პორტის გაფართოების ახალი პროექტის ფარგლებში დაგეგმილი მოლოს, ნავმისადგომისა და სანაოსნო არხის პროექტირებისთვის“. გზმ-ის ანგარიშის გვ. 151. შეცდომით წერია „მდინარე ენგურის დელტა (ფიჩორა)“. ასევე გზმ-ის ანგარიშის გეოტექნიკური აღწერისას რამდენჯერმე მეორდება ერთი და იგივე მონაცემები.
34. **გეოტექნიკური კვლევის ფაქტობრივ ანგარიშში** არასწორია „კალკ-ტუტე“, უნდა იყოს „კირ-ტუტე“. ასევე, 10 და 11-ე ნახაზების წარწერები „...ადრეული მეოთხეული წარმონაქმნების რუკა“ უნდა იყოს „მეოთხეულამდელი...“, გზმ-ის ანგარიშში გვ. 129. „კირქვიანი თიხების“ მაგივრად - „კარბონატული თიხები“. გზმ-ის ანგარიშში ხშირად არის ნახსენები ტერმინი „ნიადაგები“ (გვ.99 და ქვემოთ ნაშრომში). მაგალითად: „ნიადაგის ფენა“ „ნიადაგის გათხევადება“, „ნიადაგის ჯდომა“ და ა.შ. მოცემულ კონტექსტში ეს ტერმინი უადგილო და არასწორია, რადგან, საუბარია წყალქვეშა ტოპოგრაფიულ ზედაპირზე. ნიადაგი კი წარმოადგენს ბუნების (ლანდშაფტის) დამოუკიდებელ ელემენტს, წარმოქმნილს ნიადაგწარმომქმნელი ფაქტორებისგან. გარდა ამის, წყალქვეშა ზედაპირზე, სანაპირო ხაზთან ახლოს, მუდმივი ტალღური რეჟიმის მოქმედების პირობებში, ნიადაგსაფარის შენარჩუნება შეუძლებელია. შესაბამისად, „ნიადაგი“ უნდა შეიცვალოს „გრუნტით“;
35. გზმ-ის ანგარიშის (4.6.2.1.2. თავი - ექსპლუატაციის ფაზა“) თანახმად, „საქართველოს ზღვისპირეთში, ყურეებისა და ლაგუნების სიმიცირის ფონზე, საპროექტო აკვატორიაში აშენდება ხელოვნური ყურეები რაც თევზისთვის, განსაკუთრებით კი კეფალებისთვის იქნება მნიშვნელოვანი რეფუგიუმი გამოზამთრებისთვის და ნასუქოსისთვის“; დაზუსტებას საჭიროებს ტერმინი „რეფუგიუმის“ გამოყენების საკითხი.
36. გზმ-ის ანგარიშსა და ზღმ-ის ნორმების პროექტში მითითებული მშენებლობის ეტაპზე ტექნიკური მიზნებისთვის გამოყენებული წყლის რაოდენობა საჭიროებს დაზუსტებას.

2024 წლის 12 იანვარს ქ. ბათუმის მერიაში გამართულ, გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვისას, დამსწრე საზოგადოების მხრიდან გამოითქვა შენიშვნები/მოსაზრებები დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც მათ შორის ეხებოდა პროექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის შედეგად ვიზუალურ-

ლანდშაფტურ ზემოქმედებას. ასევე, ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე გზშ-ის ანგარიშთან დაკავშირებით წარმოდგენილია „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები - საქართველოს, ასოციაცია „ფლორა და ფაუნას“, “ბათუმის თავისუფლების მოედნის” წევრების, ურბანისტი გიორგი აბაშიძისა და სოციოლოგი იაგო კაჭკაჭიშვილის წერილობითი შენიშვნები. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია წარმოდგენილ იქნეს საჯარო განხილვაზე დასმული საკითხებისა და სააგენტოში წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინების შესახებ დეტალური ინფორმაცია/დოკუმენტაცია შესაბამისი ცხრილის სახით.

ამასთან, დოკუმენტის შესავალ ნაწილში აღნიშნულია, რომ კუნძულის შემდგომი განაშენიანების დეტალური გეგმის მომზადება და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან შეთანხმება დაგეგმილია პროექტის შემდგომ ეტაპზე. ასევე მითითებულია, რომ პირველი ფაზის პერიოდში დაგეგმილია დამცავი მოლების და ხელოვნური კუნძულის ტერიტორიის მოწყობა. ვინაიდან, გზშ-ის ანგარიშში დეტალურად არ არის განხილული კუნძულის განაშენიანებასთან და საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები და მათი ზემოქმედება გარემოსა და ქალაქზე, მათ შორის ზეგავლენა მისასვლელ გზებსა და ქალაქის ურბანულ პროცესებზე, სააგენტო აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში იმსჯელებს პირველი ფაზის ფარგლებში დაგეგმილ დამცავი მოლებისა და ხელოვნური კუნძულის მოწყობის თაობაზე.

გთხოვთ, ორი თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენა. აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის თაობაზე.

დანართი: ელ. ვერსია

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

